



# საქართველოს



# რესპუბლიკა



## გურამ გველესიანი

80 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი **გურამ გველესიანი**.

გურამ გველესიანი დაიბადა 1928 წლის 23 თებერვალს ქ.თბილისში, ცნობილი მეცნიერის გიორგი გველესიანის ოჯახში. 1950 წელს მან წარჩინებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და იმავე წელს ჩაირიცხა მოსკოვის ფერადი ლითონებისა და ოქროს ინსტიტუტის ასპირანტურაში.

1953 წელს მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მუშაობა დაიწყო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აბაიკოვის სახელობის მეტალურგიის ინსტიტუტის ფერადი და იშვიათი ლითონების მეტალურგიის ლაბორატორიაში.

1957 წლიდან გადმოყვანილ იქნა სამუშაოდ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტში, სადაც მან გაიარა გზა უფროსი მეცნიერი თანამშრომლიდან სამეცნიერო დარგში ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის თანამდებობამდე.

1966 წელს გურამ გველესიანმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ქმოსკოვის ა.ბაიკოვის სახელობის მეტალურგიის ინსტიტუტში, 1968 წელს მას მიენიჭა პროფესორის წოდება. 1979 წელს ბატონი გურამი არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1988 წელს – აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად).

1988 წელს გურამ გველესიანი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივნად და პრეზიდიუმის წევრად. ამ თანამდებობაზე იგი მუშაობდა სიცოცხლის ბოლომდე და დაუღალავად ემსახურებოდა ქართული მეცნიერების განვითარების საქმეს.

გურამ გველესიანის სამეცნიერო მოღვაწეობა ძირითადად მოიცავს თანამედროვე მეტალურგიისა და ფიზიკური ქიმიის ისეთ უმნიშვნელოვანეს სფეროებს, როგორცაა მეტალურგიული პროცესების თეორია, მყარ არაორგანულ ნივთიერებათა თერმოდინამიკა და ძნელდნობადი მასალების მიკრომეტალურგია. მან საფუძველი ჩაუყარა საქართველოში მეტალურგიული პროცესების ფიზიკური ქიმიის განვითარებას.

გურამ გველესიანის ხელმძღვანელობით შესრულებულია მნიშვნელოვანი სამუშაოები ზოგიერთი მძიმე ფერადი ლითონების მარტივი და რთული ოქსიდების ნახშირქანავით აღდგენის პროცესის კინეტიკისა და მექანიზმის შესწავლის, მსუბუქი, იშვიათი და იშვიათ მიწათა ლითონების ვაკუუმში ლითონთერმული აღდგენის პროცესის ფიზიკურ-ქიმიური და ტექნოლოგიური მახასიათებლების დადგენის დარგში. ბატონი გურამის უშუალო ხელმძღვანელობით ჩატარებულია მნიშვნელოვანი გამოკვლევები მანგანუმიანი ფეროშენადნობების წარმოებისა და რაფინირების პროცესების ფიზიკურ-ქიმიური საფუძვლების შესწავლის, ადგილობრივი მინერალური ნედლეულიდან ფერადი ლითონების მიღების დარგში. ამ კვლევის შედეგებმა ფართო პრაქტიკული გამოყენება ჰპოვეს.

აკადემიკოსი გურამ გველესიანი არის 200-მდე სამეცნიერო ნაშრომის, 4 მონოგრაფიის, 2 სახელმძღვანელოსი და რამდენიმე გამოგონების ავტორი.

მისი ნაშრომები აღინიშნა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის გიორგი ნიკოლაძისა (1984), და პეტრე მელიქიშვილის (1992) სახელობის პრემიებით, ხოლო 1993 წელს – საქართველოს სახელმწიფო პრემიით. იგი დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით.

აკადემიკოს გურამ გველესიანს დიდი ღვაწლი მიუძღვის სამეცნიერო კადრების აღზრდაში. იგი მრავალი წლის განმავლობაში იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი და კითხულობდა ლექციების ციკლს ნახევრად გამტარი მასალების მიღების ფიზიკურ-ქიმიურ საფუძვლებში და ვაკუუმურ ტექნიკაში, რაც საფუძვლად დაედო შესაბამისი სახელმძღვანელოების შექმნას. იგი იყო 5 სადოქტორო დისერტაციის კონსულტანტი და 20 საკანდიდატო დისერტაციის ხელმძღვანელი.

აკადემიკოსი გურამ გველესიანი იყო არა მარტო წარმატებული მეცნიერი და პედაგოგი, არამედ ნიჭიერი და ენერგიული ორგანიზატორიც. ჩვენი ქვეყნისათვის ურთულეს პერიოდში მან ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა ინსტიტუტების გადარჩენისათვის.

აკადემიკოსი გურამ გველესიანი იყო ჭეშმარიტი ქართველი, გამორჩეული პიროვნული თვისებების მქონე ადამიანი, რომელიც ასე უხვად დააჯილდოვა ბუნებამ კაცთმოყვარეობით, კეთილ საქმეთა კეთების დიდი უნარით, ობიექტურობით და პრინციპულობით.

ნიჭიერი და ღვაწლმოსილი მეცნიერის აკადემიკოს გურამ გველესიანის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი კოლეგებისა და მეგობრების გულში.

*საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია*